საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

მარი ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - მ. ც., დ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.03.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №024/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ხ. ქ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ხ. ქ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 23 მარტს, ადვოკატ ხ. ქ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს მ. ც.-მა და დ. ც.-მა. საჩივრის ავტორები დაესწრენენ 2022 წლის 19 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც დაადასტურეს წერილობით საჩივარში აღწერილი გარემოებები.

1.2 საჩივრის ავტორებმა 2022 წლის 19 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტეს, რომ მათ დაიქირავეს დ. ც.-ის საკუთრებაში არსებული ბინა. მესაკუთრის რწმუნებულს წარმოადგენდა ადვოკატი ხ. ქ.. საჩივრის ავტორების განმარტებით, დ. ც. ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მათ კომუნიკაცია ჰქონდათ ადვოკატ ხ. ქ.-სთან.

1.3 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატმა ხ. ქ.-მ საჩივრის ავტორებს არ მიაწოდა დ. ც.-ის საკონტაქტო ინფორმაცია და განუმარტა მათ, რომ დ. ც. იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში და მისთვის ცნობილი არ იყო საკუთარი მარწმუნებლის საკონტაქტო ინფორმაცია, კერძოდ დ. ც.

„საერთოდ არ იყო მასთან კავშირზე.“ ადვოკატის ქმედებების გათვალისწინებით, საჩივრის ავტორებს გაუჩნდათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატმა ბინის მესაკუთრის ნებართვის გარეშე გაასხვისა მათ მფლობელობაში არსებული ბინა.

1.4 საჩივრის ავტორების განმარტებით, უძრავი ქონების გასხვისების შემდეგ, ადვოკატმა ხ. ქ.-მ ორგანიზება გაუწია „ჯგუფურ ძალადობას.“ 2022 წლის 17 მარტს, ადვოკატ ხ. ქ.-ს მიერ ორგანიზებული და წაქეზებული ჯგუფი ცდილობდა მ და დ ც-ების მფლობელობაში არსებულ ბინაში შეჭრას, რა დროსაც ბინაში უკანონოდ შევიდა მ. ც.. დასახელებული შემთხვევის შემდეგ, ბინიდან დაიკარგა ბრილიანტის თვლიანი ოქროს ბეჭედი, რის შესახებაც საჩივრის ავტორებმა განაცხადეს პოლიციაში.

1.5 საჩივრის ავტორების განმარტებით, 2022 წლის 21 მარტს, ადვოკატის მიერ ორგანიზებული ჯგუფი კვლავ ცდილობდა მათ მფლობელობაში არსებულ ბინაში შეჭრას, რა დროსაც, ადვოკატი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა დ. და მ. ც.-ებს და მონაწილეობას იღებდა საკეტის დამტვრევაში. საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატი ისეთ დროს მივიდა მათ საცხოვრებელ ადგილას, როცა ბინის მფლობელები შინ არ იმყოფებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს ჰქონდა დ. ც.-ის მობილურის ნომერი და შეეძლო წინაწარ დაერეკა მისთვის, ადვოკატს ეს არ გაუკეთებია.

1.6 საჩივრის ავტორების განმარტებით, მაშინ, როცა ადვოკატი ხ. ქ., მის მიერ ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა ბინის კარების დამტვრევაში, ადვოკატი დანაშაულის ჩადენაში შემდეგი ფრაზით აქეზებდა მასთან ერთად მყოფ პირებს: „მიდი, მიდი, ეს ბოლო შანსია.“

1.7 საჩივრის ავტორების განმარტებით, 2022 წლის 21 მარტის შემთხვევის დროს, ბინაში იმყოფებოდა მათი ოჯახის წევრი, რომელმაც ჰკითხა გარეთ მყოფ პირებს მათი ვინაობა, რაზეც ადვოკატმა ხ. ქ.-მ უპასუხა: „გააღე კარი და გაიგებ“. აღნიშნული შემთხვევის დროს, ადვოკატ ხ. ქ.-ს ბინაში მყოფი პირისათვის საკუთარი ვინაობა არ უცნობებია.

1.8 საჩივრის ავტორების განმარტებით, ოჯახის წევრისაგან შეტყობინების მიღების შემდეგ, დაბრუნდნენ ბინაში, სადაც დახვდათ 5 კაციანი ჯგუფი, რომლებიც ვიდეოს იღებდნენ როგორც მობილური ტელეფონებით, ისე სპეციალური კამერით, რაც დამატებით მიუთითებს, რომ მათ ბინაში შეჭრა წინასწარ დაგეგმეს.

1.9 საჩივრის ავტორების განმარტებით, მათ გამოიძახეს საპატრულო ეკიპაჟი. თუმცა, მიკერძოებული დამოკიდებულების გამო, სამართალდამცავმა ორგანომ შესაბამისი ღონისძიებები არ განახორციელა.

1.10 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატი ხ. ქ. ბინის მესაკუთრეს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ დ. ც. დაინტერესებული იყო ბინის შეძენით.

1.11 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატმა ხ. ქ.-მ არ გაუგზავნა მ. და დ ც-ების ბინის ქირავნობის ხელშეკულება; მუდმივად თავს არიდებდა ზეპირი შეთანხმების შესაბამისად, ბინაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

1.12 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატმა ხ. ქ.-მ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული არაერთი ნორმა და ითხოვენ მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ხ. ქ.-მ 2022 წლის 04 აპრილს წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა ეთიკის კომისიაში, სადაც განმარტა, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატი ხ. ქ., ესწრებოდა 2022 წლის 19 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც დაადასტურა მის მიერ წერილობით ახსნა-განმარტებაში აღწერილი გარემოებები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება ის გარემოება, რომ მან, ბინის მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გაასხვისა ბინა. ადვოკატმა განმარტა, რომ დ. ც.-სა და ც-ებს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, დამქირავებლებს ბინა 2021 წლის ივნისის თვეში უნდა დაეცალათ, რაც მათ არ შეასრულეს. რის შემდეგაც, უძრავი ქონების მესაკუთრეს შეუთანხმდნენ, ბინაში 2022 წლის თებერვლის ბოლომდე დარჩენაზე, იმ პირობით, რომ ხელს მოაწერდნენ ადვოკატ ხ. ქ.-ს მიერ შედგენილ ქირავნობის ხელშეკრულებას. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორები მუდმივად თავს არიდებდნენ ხელშეკრულების დადებას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის 31 იანვარს მან ფოსტით გაუგზავნა შეტყობინება საჩივრის ავოტორებს და მოსთხოვა მათ ბინის 28 თებერვალს გათავისუფლება. თუმცა, დ და მ ც-ებმა არ ჩაიბარეს შეტყობინება, რაც დასტურდება ფოსტისაგან მიღებული უკუგზავნილით. ადვოკატის განმარტებით, მან დ. ც.-ს შეტყობინება ელ. ფოსტის საშუალებითც გაუგზავნა, თუმცა, დ. ც.-მა შეტყობინების მიღება არ დაუდასტურა, რის შემდეგაც დ. ც.-ს ესაუბრა მობილურის საშუალებით და განუმარტა, რომ ახლოვდებოდა ბინის გათავისუფლების თარიღი და მესაკუთრე ითხოვდა ბინის დროულად გათავისუფლებას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, იმის გამო, რომ დ. და მ. ც-ები არ იხდიდნენ ბინის ქირას და არც ბინას ათავისუფლებდნენ, მესაკუთრემ მიიღო ბინის გასხვისების გადაწყვეტილება, რის შესახებაც ადვოკატმა აცნობა დ. და მ. ც-ს. ადვოკატის განმარტებით, დ. ც.-ის ნების შესაბამისად, მან ბინა მ. ც.-ზე გაასხვისა. ადვოკატმა ხ. ქ.-მ განმარტა, რომ ჰქონდა ბინის გასხვისების უფლებამოსილება, რაც დასტურდება 2021 წლის 14 აგვისტოს მინდობილობითაც.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის მარტის თვეში, ის ბინის ახალ მესაკუთრესთან ერთად მივიდა დამქირავებლებთან, იმის გასარკვევად, თუ როდის დაცლიდნენ ბინას. აღნიშნული შემთხვევის დროს დ. და მ. ც.-ები არ იმყოფებოდნენ ბინაში და მათი დაბრუნებისას, საჩივრის ავტორებთან კომუნიკაცია შედგა სადარბაზოში.

2.6 ადვოკატის განმარტებით, დ. და მ. ც.-ები იქცეოდნენ აგრესიულად, ხმამაღალი ტონით საურბობდნენ, ცდილობდნენ მის გაღიზიანებას, კერძოდ, მ. ც.-ს მობილური ტელეფონი მიჰქონდა ადვოკატ ხ. ქ.-ს სახესთან და დ. ც.-თან ერთად ახდენდა ვიდეო გადაღებასა და აუდიო ჩაწერას. ბინის ახალი მესაკუთრე ცდილობდა მშვიდად ესაუბრა საჩივრის ავტორებთან, თუმცა ისინი გამოირჩეოდნენ აგრესიული დამოკიდებულებით და გამოიძახეს პოლიცია, რომელმაც უსაფუძვლო გამოძახების გამო სამართლებრივი ღონისძიებები არ განახორციელეს.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მ. ც.-ის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ვიდეო მასალა არასრული სახითაა წარმოდგენილი. ამასთან, საჩივრის ავტორები მას აბრალებენ ისეთი ციტატების გაჟღერებას, რაც მას არასდროს გაუჟღერებია. ადვოკატის განმატებით, საჩივრის ავტორები არ იხდიან ბინის ქირას, ბოროტად სარგებლობენ უფლებით და მისთვის შეურაცხყოფის მიყენებით ცდილობენ ხელი შეუშალონ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

3. ადვოკატ ხ. ქ.-ს მოწმის ბ. შ.-ის განმარტება:

3.1 2022 წლის 03 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატ ხ. ქ.-ს მოწმემ - ბ. შ.-მა განმარტა, რომ ის წარმოადგენდა შუამავალს ბინის მესაკუთრესა და საჩივრის ავტორებს შორის.

3.2 მოწმის განმარტებით, 2022 წლის 21 მარტს, ადვოკატი ხ. ქ. ბინის ახალი მესაკუთრისა და მისი თხოვნით იმყოფებოდა შემთხვევის ადგილას, ვინაიდან სურდათ კანონიერად, საუბრით მოეგვარებინათ ახალ მესაკუთრესა და ბინის მფლობელებს შორის წარმოშობილი უთანხმოება. მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატ ხ. ქ.-ს დ. და მ. ც.-სათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. დაპირისპირება წარმოიშვა მასსა და ც-ლებს შორის და შეურაცხყოფასაც საჩივრის ავტორები აყენებდნენ ადვოკატ ხ. ქ.-ს და მასთან ერთად მყოფ პირებს.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1. ადვოკატი ხ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი; ბავშვთა უფლებები (სამოქალაქო).

4.2. მ. ც.-მა და დ. ც.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2022 წლის 23 მარტს.

4.3. სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4.4. 2022 წლის 29 აპრილს საჩივრის ავტორებმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს მეორე დისციპლინური კოლეგიის სრული შემადგენლობის აცილების შუამდგომლობა, იმ საფუძვლით, რომ კოლეგიის წევრები საქმეს განიხილავდნენ მიკერძოებით; ახსნა-განმარტების მიცემისას საჩივრის ავტორებს უსვამდნენ კითხვებს, მათ შორის ზოგიერთი არ უკავშირდებოდა დისციპლინურ წარმოებას; კოლეგიის თავმჯდომარემ - მ. ა-მ მ. ც.-ს მიმართა შემდეგი ფრაზით: „ხმას დაუწიეთ აბა თუ შეიძლება, მოგახსენებთ, რომ აქ საბავშვო ბაღი არ არის“, რის შემდეგაც გაუთიშა მიკროფონი. საჩივრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ კოლეგიამ არ გამოკითხა მოწმე - თ. ც. საპროცესო კოლეგიამ დებულების 12.3 მუხლის საფუძველზე განიხილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა, უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა ის შემდეგ გარემოებათა გამო:

4.5. კომისიის წევრის/კოლეგიის აცილების საფუძვლები განსაზღვრულია დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებაში (შემდგომში „დებულება“), მუხლი 11. დებულებით ეთიკის კომისიის წევრი არ შეიძლება მონაწილეობდეს საქმეში, თუ არსებობს გარემოებები, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუშლის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას.

4.6. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 28-ე მუხლის მიხედვით „საპროცესო კოლეგიას შეუძლია შეხვდეს მხარეებს ცალ-ცალკე და მოსთხოვოს მათ წერილობითი ახსნა-განმარტებების გაკეთება მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით დაუსვას მხარეებს შეკითხვები.“ შესაბამისდ, ახსნა-განმარტების პროცესში, კოლეგიის წევრებს თანასწორად აქვთ უფლება მხარეს დაუსვან შეკითხვები, მათ შორის მოსთხოვონ მათ ფაქტების დაზუსტება/ საქმის გარემოებების გაჟღერება და მიიღონ მათგან ახსნა-განმარტება. იმ

შემთხვევაში, თუ მხარეს არ სურს შეკითხვაზე პასუხის გაცემა ან შეკითხვას საქმესთან შეუსაბამოდ მიიჩნევს, შეუძლია მოახსენოს კომისიას, რომ კითხვაზე არ უპასუხებს, რაც განემარტათ საჩივრის ავტორებს.

4.7. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საპროცესო კოლეგიის სხდომას წარმართავს კოლეგიის თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 223 (1)-ე მუხლით დადგენილი წესით: ხსნის, წარმართავს, წყვეტს სხდომას.... სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას და ხელმძღვანელობს სხდომაზე წესრიგის დაცვას. შესაბამისად, კოლეგიის თავმჯდომარე უფლებამოსილია წესრიგის დაცვისკენ მოუწოდოს მხარეებს და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

4.8. 2022 წლის 19 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაკმაყოფილდა საჩივრის ავტორების შუამდგომლობა მოწმედ თ. ც-ის გამოკითხვის თაობაზე. ეთიკის კომისიის აპარატი შეეცადა საჩივრის ავტორებს დაკავშირებოდა მათ მიერ საჩივარში მითითებულ მობილურის ნომრებზე: ---- და ----. თუმცა, მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. რის შემდეგაც, 2022 წლის 21 აპრილს, მანამდე მ. ც.-ის მიერ წერილობითი კომუნიკაციისას დაფიქსირებული ნების შესაბამისად, მოწმის გამოკითხვის თარიღი და შესაბამისი რეკვიზიტები საჩივრის ავტორებს გაეგზავნათ მათ მიერ საჩივარში დაფიქსირებულ მეილზე: ------, რომელსაც აქტიურად იყენებდნენ საჩივრის ავტორები კომისიასთან ურთიერთობისას. 2022 წლის 26 აპრილს, ეთიკის კომისიის აპარატი დაუკავშირდა დ. ც.-ს, რომელმაც სატელეფონო საუბრისას განმარტა, რომ საჩივრის ავტორებს არ სურდათ საქმის განმხილველ კოლეგიას გამოეკითხა მოწმე, არ ჩართავდა მოწმეს სხდომაზე და კოლეგიის მთელ შემადგენლობას უყენებდნენ აცილებას. საჩივრის ავტორების ნება მოწმის გამოკითხვის თაობაზე მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიამ.

4.9. შესაბამისად, საჩივრის ავტორების შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგან არ არსებობს კოლეგიის წევრთა სრული შემადგენლობის დებულებით გათვალისწინებული აცილების საფუძველი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ხ. ქ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორების პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ხ. ქ.-მ საჩივრის ავტორებს მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის 5(გ) მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია: არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან...“.

6.2 „ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, პატივი სცეს პროცესის მონაწილე პირთა უფლებებს და არ დაუშვას მათი ხელყოფა. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში ან სასამართლოს ფუნქციის მატარებელ სხვა ორგანოში, არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე 157/18).

6.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინური საქმეზე #075/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს. ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს“.

6.4 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატმა ხ. ქ.-მ მათ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რასაც უარყოფს ადვოკატი ხ. ქ. და აღნიშნავს, რომ დ და მ ც-ები გამოირჩეოდნენ აგრესიით; მათთან სასაუბროდ მისულ მოწინააღმდეგე მხარეს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ცდილობდნენ მის გაღიზიანებას. საჩივრის ავტორებმა საკუთარი პოზიციის დამადასტურებლად ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს 05 ვიდეო ჩანაწერი. ადვოკატ ხ. ქ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის სახით გამოიკითხა ბ. შ., რომლის განმარტებით, ადვოკატ ხ. ქ.-ს მხრიდან მ. ც.-ისა და დ. ც.-სათვის შეურახყოფის მიყენებისა და საკეტის დამტვრევის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

6.5 ეთიკის კომისია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ №2ბ/183-11 საქმეზე 2011 წლის 28 ივნისს მიღებულ განჩინებაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ „კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტიცებს.“ შესაბამისად, მომჩივანი მხარის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს ამტკიცოს და დაასაბუთოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შესახებაც საჩივარში უთითებს.

6.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და

სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

6.7 მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინონ საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ ხ. ქ.-ს მიერ საჩივრის ავტორებისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორების - დ. და მ ც-ლების სამტკიცებელია. ეთიკის კომისიამ მოისმინა მხარეთა ახნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები და საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერები. საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერებით დასტურდება, რომ მხარეებს შორის ადგილი ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებას, რა დროსაც ადვოკატი ხ. ქ. თან ახლდა საჩივრის ავტორების მოწინააღმდეგე მხარეს. თუმცა, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ჩანაწერებით არ დასტურდება, რომ ადვოკატი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს იქ მყოფ პირებს, მათ შორის დ. და მ. ც.-ებს. ერთ-ერთ ვიდეო ჩანაწერში ისმის კარზე ძლიერად დარტყმის ხმა და ვიდეოს ავტორის კითხვაზე, თუ ვინ არის, არაიდენტიფიცირებადი პირის პასუხი - „გააღე კარი და გაიგებ.“ ეთიკის კომისიის შეფასებით, აღნიშნული ფრაზა ადვოკატ ხ. ქ.-ს მიერ რომც ყოფილიყო გაჟღერებული, ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით, ის არ არის შეურაცხმყოფელი შინაარსის. შინაარსობრივი თვალსაზრისით, აღნიშნული ფრაზა არ არის უხამსი და არ ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ სტანდარტებს. საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილ ერთ-ერთ ვიდეო ჩანაწერში ისმის ხმამაღალი საუბარი და ჩანს, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფ პირთაგან ერთ-ერთი არაიდენტიფიცირებადი პირი, ადვოკატ ხ. ქ.-ს სახესთან ახლოს იღებს ვიდეოს, რა დროსაც ადვოკატი ხელს იწვდის ამ პიროვნების მიმართულებით და ჩანაწერში ისმის ვიდეოს ავტორის ხმა: „დამარტყა“. თუმცა, ჩანაწერში იდენტიფიცირებადი არ არის რომ ადვოკატი ხ. ქ. ფიზიკურად უსწორდება ვიდეოს ავტორს ან/და საჩივრის ავტორებს: მ. ან დ ც-ებს, ისევე როგორც ადვოკატ ხ. ქ.-ს მიერ დ. და მ. ც.-სათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

6.8 მოცემულ შემთხვევაში მხარეთა პოზიციები ურთიერთსაწინააღმდეგოა, ხოლო, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება საჩივრის ავტორის პრეტენზიები, რაც არ ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

6.9 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიას არ წარმოეშვა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა ხ. ქ.-მ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა საჩივრის ავტორებს, შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ.

6.10 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორების პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ხ. ქ. ორგანიზებას უწევდა დანაშაულებრივ ჯგუფს, აქეზებდა მათ მ. და დ. ც.-ების წინააღმდეგ;

მონაწილეობდა საჩივრის ავტორების ბინის კარებისა და საკეტის დამტვრევაში და იმსჯელა შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის 6.1 მუხლი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

6.11 „ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე 074/16).

6.12 საპროცესო კოლეგიამ ზედმიწევნით შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი მასალები, მათ შორის საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერები. საჩივრის ავტორების მიერ წარმოდგენილ ვიდეო ჩანაწერებში ისმის კარზე ძლიერად დარტყმის ხმა და კითხვაზე თუ ვინ არის, პასუხი - „გააღე კარი და გაიგებ“. თუმცა, იდენტიფიცირებადი არ არის ქმედების ავტორი და ვიდეოში არ ჩანს ვის ეკუთვნის ფრაზა - „გააღე კარი და გაიგებ“. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერებით არ დასტურდება ადვოკატ ხ. ქ.-ს მიერ უძრავი ქონების დაზიანების, კერძოდ დ. და მ ც-ების მფლობელობაში არსებული ბინის კარის ან/და საკეტის მტვრევის ფაქტები. წარმოდგენილ ვიდეო ჩანაწერებსა და საქმის მასალებში ასევე არ იკვეთება, რომ ადვოკატი ხ. ქ. ორგანიზებას უწევდა შემთხვევის ადგილას მყოფ პირებს, აქეზებდა მათ მ. და დ. ც-ების წინააღმდეგ და საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას იყენებდა უკანონო საშუალებებს.

6.13 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორების პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატი გასცდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს: არაკეთილსინდისიერად მოიქცა კლიენტის წინაშე და კლიენტის - ბინის მესაკუთრის ინფორმირების გარეშე გაასხვისა ბინა.

6.14 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური წარმოების პროცესში დაყენებული პრეტენზიებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად მოწმდება საჩივრის ავტორის უფლებამოსილების საკითხი. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის თანახმად ,,დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა. ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო საჩივრის ავტორების სტატუსი - დ და მ ც-ები წარმოადგენენ ადვოკატ ხ. ქ.-ს მარწმუნებლისა და კლიენტის - დ. ც.-ის მოწინააღმეგე მხარეს. დასახელებულ ნაწილში უფლებამოისილ განმცხადებელს წარმოადგენს ადვოკატ ხ. ქ.-ას კლიენტი - დ. ც. და არა დ. და მ. ც.-ები. მოცემულ შემთხვევაში დ. ც.-ს - ადვოკატ ხ. ქ.-ს მარწმუნებელსა და კლიენტს პრეტენზია არ გამოუთქვამს ადვოკატ ხ. ქ.-ს მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების თაობაზე.

6.15 ეთიკის კომისია დამატებით განმარტავს, რომ ადვოკატი დამოუკიდებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ის ვალდებულია კლიენტის ინტერესების დაცვისას მოქმედებდეს კლიენტის მითითებების შესაბამისად და კლიენტს იცავდეს ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ხ. ქ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა 2022 წლის 18 თებერვლის მინდობილობა, სადაც მარწმუნებელია დ. ც., ხოლო რწმუნებულია ადვოკატი ხ. ქ.. მინდობილობის მიხედვით, რწმუნებული უფლებამოსილია განკარგოს მარწმუნებლის საკუთრებაში

არსებული უძრავი ქონება, მათ შორის გაასხვისოს იგი. მინდობილობა ხელმოწერილია დ. ც.-ის მიერ, რაც ადასტურებს მარწმუნებლის ნებას, ადვოკატ ხ. ქ.-სათვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, კლიენტისაგან მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ანგარიშვალდებულიც სწორედ კლიენტის წინაშე იყო. დასახელებულ შემთხვევაში, ადვოკატ ხ. ქ.-ს კლიენტს პრეტენზია არ გამოუთქვამს ადვოკატის სტრატეგიასა და ადვოკატის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ მოქმედებებზე. საქმის მასალებით იკვეთება, რომ ადვოკატი ხ. ქ. ზედმიწევნით ასრულებდა კლიენტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ხ. ქ.-ს კლიენტს - დ. ც.-ს, როგორც უფლებამოსილ განმცხადებელს, ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია პრეტენზია, რომ ადვოკატი ხ. ქ. ბოროტად იყენებდა მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას; მოქმედებდა კლიენტის მითითებების საწინააღმდეგოდ და ინფორმაციას არ აწვდიდა კლიენტს საქმის მიმდინარეობის შესახებ.

6.16 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №024/22 ადვოკატ ხ. ქ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/